



პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



PRESS RELEASE

გავრცელდეს დაუყოვნებლივ
18 მაისი, 2019

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
თეა ჩანჩიბაძეს, GNTA, 599 588 800
ქეთი რეხვიაშვილს, USAID ზრდა
+995 32 222 74 95/ krekhviashvili@zrda.ge

საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ და USAID ზრდა-მ ახალციხის განახლებული ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი გახსნეს

რაბათის ციხე, ახალციხე - 18 მაისს 15:00 საათზე, USAID საქართველო-ს წარმომადგენელმა დავით ნიკლაურმა და USAID ზრდა-ს ხელმძღვანელმა ბრაიან კინგმა, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, მარიამ ქვრივიშვილთან და სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორთან, ბესიკ ამირანაშვილთან ერთად, რაბათის ციხის ტერიტორიაზე ახალციხის განახლებული ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი გახსნეს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, USAID ზრდა-მ, საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, ახალციხეში, ბორჯომში, გორსა და ზუგდიდში მდებარე ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები სრულად აღჭურვა და თანამშრომლები გადაამზადა. აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდების ხარჯზე აღნიშნულ რეგიონებში ტურისტული პოტენციალის ამაღლებას.

USAID ზრდა, საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად, სამცხე-ჯავახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში ტურიზმის განვითარების რეგიონული მოდელის შემუშავებას უწყობს ხელს. დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის (DMO) შექმნით კი, USAID ზრდა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ერთობლივად განსაზღვრავენ რეგიონში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და პრიორიტეტებს, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის პოპულარიზაციას და მის უკეთ წარმოჩენას, ასევე სამცხე-ჯავახეთში და სამეგრელო-ზემო სვანეთში ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ხელშეწყობას.

რეგიონებში ტურიზმის განვითარების მხარდასაჭერად USAID ზრდა ხელს უწყობს ახალი ტურისტული პროდუქტის შემუშავებას, ახალი ტურისტული ობიექტების და ღირშესანიშნაობების პოპულარიზაციასა და ტურიზმის სექტორში ჩართული მხარეების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის გაუმჯობესებას კომპლექსური მიდგომის გამოყენებით. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით USAID ზრდა -ს ძირითადი რეგიონებია სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, პანკისის ხეობა და თუშეთი, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ხელშეწყობა სამიზნე რეგიონებში კვლავ რჩება პროექტის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად.

USAID-ის საქმიანობის შესახებ საქართველოში: უკანასკნელი 26 წლის განმავლობაში ამერიკმა ხალხმა USAID-ის საშუალებით 1.8 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი თანხის ინვესტიცია განახორციელა საქართველოში. პროექტები, რომელთა მიზანია დახმარება გაუწიოს საქართველოს თავისუფალი და განვითარებული დემოკრატიის მშენებლობაში, მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესება. USAID-ი ეკონომიკურ და პუბლიკურ დახმარებას უწევს 100-ზე მეტ ქვეყანას. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.usaid.gov/georgia>

USAID-ის შიდა დადგენილები პროექტი ზრდა არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთ რეგიონის 81 თემში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მკერო, მკერე და საშუალო სანარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მენარმეგსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრისწინა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემებს. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდებათ შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge>; www.zrda.ge